საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №88
2025 წლის 2 ოქტომბერი

ქ. ბათუმი

„ნავსადგურის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 25 ივლისის №24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ცვლილება შევიდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 25 ივლისის №24 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ნავსადგურის წესებში“ და წესის 65-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. სანავსადგურე ერთეულმა უზრუნველყოს სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიაზე მოძრავი ყველა სატრანსპორტო საშუალების, გარდა მსუბუქი ავტომობილებისა და საზღვაო სახაზო სატრანსპორტო საშუალებებზე (ბორანი და სხვა) დასატვირთი ან ჩამოსატვირთი ავტოტრანსპორტისა (მათ შორის, გემბანის ტვირთი), ყვითელი/ნარინჯისფერი ციმციმა სიგნალით აღჭურვა. აღნიშნული ციმციმები უნდა განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ძარის ზედა ნაწილზე ისე, რომ მაქსიმალურად ხილული იყოს ყველა მიმართულებიდან.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტოს დირექტორი **ივანე აბაშიძე**